


# ხობის მოამბე

№23 (7065) 16 ნოემბერი, ოთხშაბათი, 2011 წელი.
ფასი 50 თეთრი


## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2011 წლის 8 ნოემბერს გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე უძღვებოდა, ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ადგილობრივი პრესისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო ცხრა საკითხი:

1. „საკრებულოს წევრის–ემზარ დანელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ (მომხსენებელი: მ. ბუკია-სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ბუკია–სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ბუკია–სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე);

5 „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 სექტემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 იანვრის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის თემის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდების შესახებ“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდების შესახებ“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

დებატები გამოიწვია მე-4 საკითხის განხილვამ. დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ არ არის გაკეთებული ქალაქის კომუნალური რუქა, ქალაქის შემოგარენი ნაგავსაყრელადაა ქცეული. მოუწესრიგებელია სარკინიგზო კარიბჭისაკენ მიმავალი გზა, არ არის განათება. სოფელ პირველ მაისში ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიაზე ასასვლელი კიბის განათება არ არის გათვალისწინებული და მრავალი სხვა. ითქვა, რომ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებას. საახალწლო ნაძვის ხის შესაფერისად მორთვა, მრავალი სადღეისო პრობლემა საკრებულოს მსჯელობის საგანი გახდა.

საკითხების განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ და დეპუტატებმა იმსჯელეს სხვა პრობლემურ საკითხებზეც.

სხდომის დასასრულს, საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებსა და გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებით უფრო მეტად დაინტერესებისა და უფრო ეფექტური ქმედითი ღონისძიებების გატარებისაკენ მოუწოდა.

განსახილველი პროექტების დამტკიცების შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**მერი ლაგვილავა**

## ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყო

***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობის მიერ 2011 წლის 15 ნოემბერს განსახილველად წარედგინა 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რის შემდგომაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში დაიწყო ბიუჯეტის პროექტის წინასწარი განხილვა. საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში ბიუჯეტის პროექტის წინასწარი განხილვა 25 ნოემბრამდე გაგრძელდება და შემუშავდება შესაბამისი წინადადებები, რის შემდგომაც საკრებულოს დაგეგმილი აქვს მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან შეხვედრა, სადაც მოეწყობა 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.***

***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საზოგადოებას მოუწოდებს აქტიურად ჩაერთოს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში. მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები საკრებულოს მიერ გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის განხილვისას.***

**ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი გაზეთ „ხობის მოამბეს“ დღევანდელ ნომერში ქვეყნდება (გვ. 3–14).**

## ხობში ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებითა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა დაიწყო. აღნიშნულ პროექტში ხობის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლე აქტიურადაა ჩართული.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება, საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის. გამარჯვებული მოსწავლეები საერთაშორისო ოლიმპიადებში მიიღებენ მონაწილეობას.

## შეიცვალა ექსტრემალური (საგანგებო) სამსახურების ტელეფონების არსებული მოკლე სპეციალური ნომრები

ნუმერაციის ეროვნული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 15 ნოემბრიდან ქვეყნის ფიქსირებული ადგილობრივ და მობილურ სატელეფონო ქსელებში მოქმედი 0X(X) ფორმატის მოკლე ნომრები შეიცვალა 1XX(XXX) ფორმატის მოკლე ნომრებით.

რეფორმის პირველ ეტაპზე მიმდინარე წლის 15 ნოემბერს შეიცვალა ექსტრემალური (საგანგებო) სამსახურების ტელეფონების არსებული მოკლე სპეციალური ნომრები და ისინი შემდეგი სახის არიან:

სახანძრო–სამაშველო სამსახურის ტელეფონების ნომრები –01 და 011, შეიცვალა ნომრით–111;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ტელეფონების ნომრები 03 და 033, შეიცვალა ნომრით–113;

გაზის საავარიო სამსახურის ტელეფონის ნომერი–04, შეიცვალა ნომრით–114;

საპატრულო პოლიციის ტელეფონის ნომერი–022, შეიცვალა ნომრით–122;

დაცვის პოლიციის ტელეფონის ნომერი–025, შეიცვალა ნომრით–125.

გარდამავალ ეტაპზე, მიმდინარე წლის 15 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე უზრუნველყოფილი იქნება ძველი 0X(X) ფორმატის და ახალი 1XX(XXX) ფორმატის მოკლე ნომრების თანამოქმედება, ხოლო 30 ნოემბრიდან კი იმოქმედებენ მხოლოდ 1XX(XXX) ფორმატის მოკლე ნომრები.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:**

***საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.***

# ანდერს ფოგ რასმუსენი: „ჩიკაგოს სამიტის გადაწყვეტილებებზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, სავარაუდოდ, წინგადადგმული ნაბიჯები იქნება“




ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, „ჩიკაგოს სამიტის შესაძლო გადაწყვეტილებებზე საუბარი ჯერ-ჯერობით ნაადრევია, თუმცა, სავარაუდოდ, წინგადადგმული ნაბიჯები იქნება“.

ასე უპასუხა რასმუსენმა ჟურნალისტის კითხვას იმის შესახებ, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს საქართველოს 2012 წელს ჩიკაგოში დაგეგმილი სამიტისგან?“

თბილისში ჩამოსვლამდე რასმუსენმა ექსკლუზიური ინტერვიუ „მოამბის“ ევროპულ ბიუროს მისცა და იმაზე ისაუბრა, თუ როგორ გაგრძელდება ნატო-საქართველოს ურთიერთობები, როგორ აფასებს ალიანსი საქართველოს წვლილს ავღანეთის ოპერაციაში, რა მოლოდინი შეიძლება, ჰქონდეს საქართველოს ჩიკაგოს 2012 წლის სამიტზე და რა იქნება ის მთავარი თემები, რომლებსაც ჩრდილოატლანტიკური საბჭო საქართველოში დაგეგმილ სხდომაზე განიხილავს.

„პირველ რიგში, გამოვიყენებთ შესაძლებლობას, გამოვხატოთ მადლიერება იმ უდიდესი წვლილისთვის, რომელიც საქართველოს ავღანეთში ჩვენს ოპერაციებში შეაქვს. საქართველო ამ დროისთვის უდიდეს კონტრიბუტორ ქვეყანათა რიგშია და ეს ჩვენს ალიანსთან თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ნათელი განაცხადია. გარდა ამისა, გამოვხატავთ ჩვენს პატივისცემას რეფორმებში მიღწეული პროგრესის გამო და არა მხოლოდ თავდაცვის სფეროში, არამედ ზოგადად საზოგადოებაში. ეს ყველაფერი საქართველო-ნატოს ურთიერთობებში მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს. ჯერ-ჯერობით ადრეა იმაზე მსჯელობა, თუ რა შეიძლება მოხდეს ჩიკაგოს სამიტზე. სამიტისთვის მზადება ახლახანს დავიწყეთ. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში ვიზიტი ისევე, როგორც აპრილში ჩატარებული ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა სამიტისთვის სამზადისს წარმოადგნეს. დღეს ვერ ვიტყვი, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული ჩიკაგოში, მაგრამ სავარაუდოდ, წინგადადგმული ნაბიჯები იქნება. ნატო-მ სამი წლის წინ ბუქარესტის სამიტზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და განაცხადა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ წევრობის მისაღებად აუცილებელია კრიტერიუმების დაკმაყოფილება. შეიარაღებულ ძალებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, ერთობლივად იმოქმედონ და ამ კუთხით .საქართველოს კონტრიბუცია ავღანეთის მისიებში ძალიან მნიშვნელოვანია. ამას გარდა, წევრობის მსურველი ქვეყანა ზოგადი დემოკრატიის პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს, მათ შორის - სამართლებრივი კუთხით და ადამიანის უფლებების დაცვის ჩათვლით, განაცხადა რასმუსენმა და დასძინა, რომ „ამ კუთხითაც საქართველოს შესამჩნევი პროგრესი აქვს და ნატო საქართველოს დახმარებას გააგრძელებს, რათა ეს პროცესი არ შეჩერდეს“.

# ანდერს ფოგ რასმუსენი: „ნატო აქ არის, რათა რეფორმების გატარებაში დაგეხმაროთ“

ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, „ნატო რეფორმების გატარების კუთხით საქართველოს დახმარებას გააგრძელებს“.

ამის შესახებ რასმუსენმა სასტუმრო „რედისონში“ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე განაცხადა.

„დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მთავარი ფოკუსი საქართველოში გატარებული საშინაო რეფორმები იქნება. განვიხილავთ თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებსა და სამხედრო დაფინანსების საკითხებს. ვისაუბრებთ უსაფრთხოების იმ გამოწვევებზე, რომელიც დღეს და მომავალში საქართველოს წინაშე არსებობს. სამი წლის წინ ბუქარესტში შევთანხმდით, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდებოდა და ნატო ამ გადაწყვეტილების ერთგული რჩება. ბუქარესტის სამიტის შემდეგ საქართველომ გარკვეული რეფორმები გაატარა და ნატო აქ არის, რათა რეფორმების გატარებაში დაგეხმაროთ“,–განაცხადა რასმუსენმა.

**„პირველი“**

# საგარეო უწყება საქართველო-რუსეთს შორის ტვირთბრუნვის მონიტორინგის რუკებს გამოაქვეყნებს




საქართველოს საგარეო უწყება უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს რუკებს, სადაც რუსეთ-საქართველოს შორის ტვირთბრუნვის მონიტორინგის ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა იქნება აღნიშნული. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.

„როდესაც დასრულდება ტექნიკურ მხარეებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოაქვეყნებს რუკას, რათა კარგად ჩანდეს სად განთავსდებიან მონიტორები და სად გაივლება ხაზი“, –აცხადებს ნინო კალანდაძე.

მისივე თქმით, საქართველომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე შეძლო ქართული მხარის მიერ დათქმულ პირობებზე დაეყოლიებინა მოსკოვი. კალანდაძის განცხადებით, შეთანხმება ითვალისწინებს გეოგრაფიულ აღნიშვნას. საუბარია ფსოუზე, როკზე და ლარსის მონაკვეთზე.

„ჩვენთვის ეს ძალიან დიდი მიღწევაა, რადგან ხაზი გაესვა, რომ რუსეთი ნაწილობრივ აღიარებს, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორია“, - განაცხადა ნინო კალანდაძემ.

მისივე თქმით, ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საბოლოო ეტაპი სავარაუდოდ, დეკემბერში დასრულდება, როდესაც საკითხი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურ საბჭოზე განიხილება.

**„ინტერპრესნიუსი“**

# მიხეილ სააკაშვილი — ნატოსკენ ჩვენს სვლას უკან ვეღარავინ შეაბრუნებს



პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ქართული მხარის მზადყოფნამ მშვიდობისა და სტაბილურობის დასაცავად და მცდელობამ, სატვირთებელზე მეტი იტვირთონ, საქართველო ნატო-ს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარტნიორად აქცია.

როგორც სააკაშვილმა ბათუმში, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე განაცხადა, საქართველო ამაყობს თავისი ჯარისკაცებით, რომლებმაც ზუსტად იციან, რისთვის იბრძვიან ავღანეთში.

სააკაშვილის თქმით, ქვეყანას ნატო-ს ალიანსამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი, რომელიც არ არის ადვილი გზა, მაგრამ პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს სვლას ამ გზისკენ უკან ვეღარავინ შეაბრუნებს.

მიხეილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა ნატო-ს დელეგაციას საქართველოში სტუმრობისთვის. „თქვენ იმყოფებით მეგობართა შორის; ქართველი ხალხი, ზოგადად, სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ ვფიქრობ, რომ იშვიათად რომელიმე სტუმრის დანახვა გახარებიათ მათ ისე ძლიერ, როგორც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, ნატო-ს, ამ უნიშვნელოვანესი ორგანიზაციის დანახვა ქართულ მიწაზე“,–განაცხადა პრეზიდენტმა.

**„ინტერპრესნიუსი“**

# დავით ბაქრაძე: საქართველო დღეს ნატოსთან ისე ახლოსაა, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა



„მთავარი გზავნილი, რომელიც მივიღეთ ნატოს გენერალური მდივნისგან და მან ეს გაიმეორა რამდენჯერმე, ძალიან მკაფიოდ არის ის, რომ საქართველო დღეს ნატოსთან არის ისე ახლო, ვიდრე ის როდესმე ყოფილა“,–აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ნატოს გენერალური მდივნის თბილისში განხორციელებული ვიზიტის კომენტირებისას.

მისივე თქმით, ეს სიახლოვე გამოიწვია საქართველოს მიერ არჩეულმა სწორმა კურსმა, საქართველოს მიერ გაფორმებულმა სწორმა რეფორმებმა და საქართველოს წარმატებებმა ბოლო წლების განმავლობაში.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი. ვინაიდან ეს კიდევ ერთხელ ადასრურებს, რომ, ჩვენ გვაქვს არა მხოლოდ თეორიული ვალდებულება, რომელიც არსებობს ბუქარესტში ქაღალდზე დაწერილი ვალდებულების სახით, არამედ ჩვენ გვაქვს პრაქიკული პროცესი, პროცესი, რომელიც გვაახლოვებს ნატოსთან და პროცესი, რომელიც საბოლოო ჯამში აუცილებლად დასრულდება საქართველოს ნატოში გაწევრიანებით“,–აცხადებს დავით ბაქრაძე.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

# მანანა მანჯგალაძე: „2010 წლის ბიუჯეტი დასაქმებისა და მოდერნიზაციის ბიუჯეტია“



პრეზიდენტის ადმინიტრაციის შეფასებით, 2012 წლის ბიუჯეტი „დასაქმებისა და მოდერნიზაციის ბიუჯეტია“.

როგორც პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, „2012 წლის ბიუჯეტის სრული მოცულობა 7 673 000 000 ლარს შეადგენს და წინა წელთან შედარებით, 322 000 000 ლარით არის გაზრდილი“.

„2012 წლის ბიუჯეტი განხილვის პროცესშია. აღნიშნული ბიუჯეტის მთავარი სამიზნე დასაქმების პრობლემის მოგვარებაა. გარკეულ უწყებებს მიცემული აქვთ დავალება, ბიუჯეტის ირგვლივ პოზიციების საბოლოო შეჯერება განხორციელდეს. აღნიშნული ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტებია სოფლის მეურნეობა, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტები. ჯანდაცვის სფეროში აქცენტი გაკეთებულია პენსიონერთა დაზღვევაზე, განათლების სფეროში კი გათვალისწინებულია სერთიფიცირებული მასწავლებლებისთვის ხელფასების ზრდა და სხვადასხვა რეგიონებში სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურული კუთხით რეგიონებში საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტებია დაგეგმილი. სერიოზული პროექტები განხორციელდება კახეთის რეგიონში, ახალციხეში, რაჭაში, გურიასა და იმერეთში. წლის ბოლომდე ახალი პროექტი დაიწყება, ზუგდიდში, გორსა და თელავში კი ინფრასტრუქტურული განვითარება გაგრძელდება“,–განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

მისივე თქმით, „არ დარჩება არც ერთი რეგიონი, სადაც მსგავსი პროექტი არ განხორციელდება და ეს ყოველივე მოსახლეობის დასაქმებისკენაა მიმართული“.

**„პირველი“**

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი

# ბიუჯეტი (პროექტი)

*ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საკრებულოს განსახილველად წარედგინა 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი.*

*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საზოგადოებას გასაცნობად სთავაზობს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადებულ 2012 წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ განმარტებით ბარათთან ერთად. ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული მასალები (საკრებულოს კომისიების, ფრაქციების და საზოგადოებიდან შემოსული წინადადებები) ასევე პერიოდულად გამოქვეყნდება საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.khobi-sakrebulo.ge*

*საკრებულოს დაგეგმილი აქვს მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან შეხვედრის ორგანიზება, სადაც მოეწყობა 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაცია და საჯარო განხილვა.*

*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო საზოგადოებას მოუწოდებს აქტიურად ჩაერთოს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში. მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები გათვალისწინებული იქნება საკრებულოს მიერ ბიუჯეტის განხილვისას.*

*წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები დაინტერესებულ პირს 2011 წლის 25 ნოემბრამდე შუძლია წერილობით წარმოადგინოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N189. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. ოთახი N214). ასევე, ელექტრონული ფოსტით: khobi.mun@gmail.com*

*მკითხველს ასევე ეძლევა შესაძლებლობა წინადადებები მოგვაწოდოს გაზეთში, ბიუჯეტის პროექტის ბოლოს განთავსებული ბარათის საშუალებით.*

## განმარტებითი ბარათი

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 5926.3 ათასი ლარით აქედან: გადასახადები 5169.6 ათასი ლარი, გრანტები 333.0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 423.7 ათასი ლარი. დანართი №1.

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 5374.3 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1412.5 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1081.9 ათასი ლარი, პროცენტი 69.1 ათასი ლარი, სუბსიდიები 2438.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 372.5 ათასი ლარი. დანართი №1.

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 552.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 504.2 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 748.2 ათასი ლარი, კლება 244.0 ათასი ლარი. დანართი №1.

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 47.8 ათასი ლარით. დანართი №1.

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 6170.3 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები - 5926.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 244.0 ათასი ლარით, დანართი 2.

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6170.3 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 5374.3 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 748.2 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 47.8 ათასი ლარით, დანართი 2.

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების საბიუჯეტო კლასიფიკაციით (დანართი 4):

1) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები 1937.0 ათასი ლარით აქედან: დანართი №4
- შრომის ანაზღაურება 1145.2 ათასი ლარი
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 28.0 ათასი ლარი
- მივლინება 8.6 ათასი ლარი
- ოფისის ხარჯები 242.9 ათასი ლარი
- წარმომადგელობითი ხარჯი 12.9 ათასი ლარი
- სამედიცინო ხარჯები 0.1 ათასი ლარი
- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები 146.1 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 211.2 ათასი ლარი
- პროცენტი 69.1 ათასი ლარი
- არაფინასური აქტივების ზრდა 25.8 ათასი ლარი
- პროცენტი 47.8 ათასი ლარი
- ვალდებულებების კლება 28.2 ათასი ლარი

2) ხანძარსაწინაამღდეგო სამსახურის ხარჯები 291.0 ათასი ლარით აქედან:
- შრომის ანაზღაურება 211.6 ათასი ლარი
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 3.6 ათასი ლარი
- მივლინება 0.9 ათასი ლარი
- ოფისის ხარჯები 12.2 ათასი ლარი
- რბილი ინვენტარის შეძენა 16.9 ათასი ლარი
- ტრანსპორტის შენახვა 31.0 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 9.9 ათასი ლარი
- არაფინასური აქტივების ზრდა 4.9 ათასი ლარი

3) თავდაცვის ღონისძიებები 97.4 ათასი ლარით აქედან:
- შრომის ანაზღაურება 55.7 ათასი ლარი
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 7.3 ათასი ლარი
- მივლინება 2.0 ათასი ლარი
- ოფისის ხარჯი 7.0 ათასი ლარი
- ტრანსპორტის შენახვა 13.5 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 10.6 ათასი ლარი
- არაფინასური აქტივების ზრდა 1.3 ათასი ლარი

4) შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინასება 65.0 ათასი ლარით აქედან:
- ოფისის ხარჯი 32.0 ათასი ლარი
- ტრანსპორტის შენახვა 25.8 ათასი ლარი
- არაფინასური აქტივის ზრდა 7.2 ათასი ლარი

5) ინფრასტრუქტურა მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯი 1242.9 ათასი ლარით. აქედან:
- გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 120.0 ათასი ლარი აქედან:

ასფალტის საფარიანი ქუჩების მოვლა-შენახვა 30.0 ათასი ლარი

მ.გ.ფ.-ს თანადაფინანსება 90.0 ათასი ლარი
- ვეტერინარიის ხარჯები 10.0 ათასი ლარი
- სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 150.0 ათასი ლარი
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 15.0 ათასი ლარი
- შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება"-ს სუბსიდია 432.9 ათასი ლარი
- დასუფთავების ღონისძიებები (ნაგავსაყრელი პოლიგონის შენახვა) 146.0 ათასი ლარი
- კეთილმოწყობა 295.0 ათასი ლარი

6) საგანმანათლებლო ღონისძიებები 1160.0 ათასი ლარით აქედან:

სუბსიდიები 1050.0 ათასი ლარი. აქედან:
- სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება 590.8 ათასი ლარი
- საჯარო სკოლების დაფინანსება (ტრანსპორტირების ხარჯები) 45.0 ათასი ლარი
- განათლების ცენტრი 317.8 ათასი ლარი
- პროფსასწავლებელი 96.4 ათასი ლარი

არაფინასური აქტივების ზრდა 110.0 ათასი ლარი აქედან:
- სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება 110.0 ათასი ლარი

7) სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხაჯი 874.6 ათასი ლარით აქედან:
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 49.1 ათასი ლარი აქედან:
- სპორტული ღონისძიებები 28.0 ათასი ლარი
- ახალგაზრდული ღონისძიებები 10.4 ათასი ლარი
- ძეგლთა დაცვა და კულტურული მემკვიდრეობა 10.7 ათასი ლარი
- სუბსიდიები 825.5 ათასი ლარი აქედან:
- საფეხბურთო კლუბი 330.0 ათასი ლარი
- კულტურის ცენტრი 460.0 ათასი ლარი
- შ.პ.ს. „ხობის მოამბე" 35.5 ათასი ლარი

8) სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 502.4 ათასი ლარით აქედან:
- სუბსიდია 129.9 ათასი ლარით აქედან:
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა 80.6 ათასი ლარი
- დამატებითი ამბ. დახმარება 49.3 ათასი ლარი
- სოციალური უზრუნველყოფა 372.5 ათასი ლარი აქედან:
- უფასო სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება 84.5 ათასი ლარი
- ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვა 5.0 ათასი ლარი
- ავადმყოფთა სოციალური დაცვა 90.0 ათასი ლარი
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 65.0 ათასი ლარი
- ერთჯერადი დახმარება 60.0 ათასი ლარი
- ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება 68.0 ათასი ლარი

შენიშვნა:

ა) გარდამავალი ობიექტების მოცულობები დაზუსტდება ფაქტიური მონაცემებიდან გამომდინარე;

ბ) ნოემბრის თვეში მიწაზე გადასახადის შემოსულობები საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილად გაანალიზდეს საკუთარი შემოსულობების მოცულობები და გარკვეული კორექტივები შევიდეს ბიუჯეტის პროექტში. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ინფრასტრუქტურის გეგმის კორექტირება მატების კუთხით.

გ) სასურველია უმოკლეს ვადებში მოხდეს ოფისის, არაფინანსური აქტივების ზრდის (ინვენტარის შეძენა) ხარჯების განხილვა, რათა სახელმწიფო შესყიდვები, თუნდაც საკანცელარიო საქონლის შეძენაზე, მზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო სასადილოთი მომსახურების შესყიდვაზე განხორციელდეს დეკემბრის თვეში ელექტრონული ტენდერების საშუალებით.

**შემსრულებელი:**

**დ. ჭოჭუა**

**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი**

<u>*პროექტი*</u>

### ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

**„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი თანახმად N1 დანართისა. მათ შორის:**

ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 5926.3 ათასი ლარით (აქედან: გადასახადები 5169.6 ათასი ლარი; გრანტები - 333.0 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 423.7 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 5374.3 ათასი ლარით (აქედან: შრომის ანაზღაურება - 1412.5 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება -1081.9 ათასი ლარი; პროცენტი - 69.1 ათასი ლარი; სუბსიდიები - 2438.3 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 372.5 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო სალდო - 552.0 ათასი ლარით;

დ) არაფინასური აქტივების ცვლილება - 504.2 ათასი ლარით;

ე) მთლიანი სალდო - 47.8 ათასი ლარით;

ვ) ვალდებულებების ცვლილება (კლება) - 47.8 ათასი ლარით;

**2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანახმად N2 დანართისა. მათ შორის:**

ა) შემოსულობები - 6170.3 ათასი ლარით (აქედან: შემოსავლები - 5926.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 244 ათასი ლარი);

ბ) გადასახდელები - 6170.3 ათასი ლარით (აქედან: ხარჯები - 5374.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 748.2 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 47.8 ათასი ლარი);

გ) ნაშთის ცვლილება - 0.0 ათასი ლარით;

**3. ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვროს თანახმად N3 დანართისა.**

**4. ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების საბიუჯეტო კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად N4 დანართისა.**

**5. ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად N5 დანართისა. მათ შორის:**

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1937.0 ათასი ლარით;

ბ) თავდაცვა - 97.4 ათასი ლარით;

გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 356.0 ათასი ლარით;

დ) ეკონომიკური საქმიანობა - 280.0 ათასი ლარით;

ე) გარემოს დაცვა - 652.9 ათასი ლარით;

ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა - 310.0 ათასი ლარით;

ზ) ჯანმრთელობის დაცვა - 129,9 ათასი ლარით;

თ) დასვენება, კულტურა და რელიგია -874.6 ათასი ლარით

ი) განათლება - 1160.0 ათასი ლარით;

კ) სოციალური დაცვა - 372.5 ათასი ლარით;

**6. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.**

>>>>>>> 3

3<<<<<<<<<<<

# ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი(პროექტი)

## დანართი №1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის ნოემბრის N დაგენილებისა

### ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი

| *დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა* | *2011 წლის გეგმა* | *2012 წლის გეგმა* |
|---|---|---|
| *შემოსავლები* | *7 188,2* | *5926,3* |
| გადასახადები | 5 180,9 | 5 169,6 |
| გრანტები | 1 482,9 | 333,0 |
| სხვა შემოსავლები | 524,4 | 423,7 |
| **ხარჯები** | **5 055,6** | **5 374,3** |
| შრომის ანაზღაურება | 1 324,8 | 1 412,5 |
| საქონელი და მომსახურება | 986,4 | 1 081,9 |
| პროცენტი | 85,0 | 69,1 |
| სუბსიდიები | 2 353,3 | 2 438,3 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 306,1 | 372,5 |
| სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| *საოპერაციო სალდო* | *2 132,6* | *552,0* |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2 393,1 | 504,2 |
| ზრდა | 2 493,1 | 748,2 |
| კლება | 100,0 | 244,0 |
| *მთლიანი სალდო* | *-260,5* | *47,8* |
| *ფინანსური აქტივების ცვლილება* | *6,3* | *0,0* |
| *ზრდა* | *24,4* | *0,0* |
| ვალუტა და დეპოზიტები | 24,4 | |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| კლება | 18,1 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 18,1 | |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 |
| *ვალდებულებების ცვლილება* | *-41,3* | *-47,8* |
| *ზრდა* | *0,0* | *0,0* |
| საგარეო | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 |
| კლება | 41,3 | 47,8 |
| საგარეო | | |
| საშინაო | | |
| *ბალანსი* | -308,1 | 0,0 |

## დანართი №2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის ნოემბრის N დაგენილებისა

### ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

| *დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა* | *2011 წლის გეგმა* | *2012 წლის გეგმა* |
|---|---|---|
| *შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი* | *7 288,2* | *6 170,3* |
| შემოსავლები | 7 188,2 | 5926,3 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 100,0 | 244,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| *გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი* | *7 590,0* | *6 170,3* |
| ხარჯები | 5055,6 | 5374,3 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 493,1 | 748,2 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 41,3 | 47,8 |
| ნაშთის ცვლილება | -301,8 | 0,0 |

## დანართი №3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის ნოემბრის N დაგენილებისა

### ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

| *შემოსულობების კოდები* | *დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა* | *2011 წლის გეგმა* | *2012 წლის გეგმა* |
|---|---|---|---|
| | **შემოსულობები** | **7 288,2** | **6 170,3** |
| | შემოსავლები | 7 188,2 | 5926,3 |
| | არაფინანსური აქტივების კლება | 100,0 | 244,0 |
| | ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | **შემოსავლები** | **7 188,2** | **5926,3** |
| 11 | გადასახადები | 5 180,9 | 5 169,6 |
| 11111 | საშემოსავლო გადასახადი | | |
| 11311 | ქონების გადასახადი | 5 180,9 | 5 169,6 |
| 113111 | საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3 060,0 | 3 150,0 |
| 113112 | უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 113113 | ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 113114 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 80,0 | 132,0 |
| 113115 | არასასოფლო-სამეურნ-ეო დანიშნულების მიწაზე | 2 040,9 | 1 887,6 |
| 1136 | სხვა გადასახადები ქონებაზე | | |
| 116 | სხვა გადასახადები | | |
| 13 | გრანტები | 1 482,9 | 333,0 |
| 131 | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | | |
| 132 | უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობები-დან მიღებული გრანტები | | |
| 133 | სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 1 482,9 | 333,0 |
| | გათანაბრებითი ტრანსფერი | | |
| | მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 180,0 | 183,0 |
| | სპეციალური ტრანსფერი | 1 302,9 | 150,0 |
| | მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 722,6 | |
| | მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 580,3 | 150,0 |
| 14 | სხვა შემოსავლები | 524,4 | 423,7 |
| 141 | შემოსავლები საკუთრებიდან | 113,0 | 85,0 |
| 1411 | პროცენტები | | |
| | დივიდენდები | | |
| | რენტა | 113,0 | 85,0 |
| 14151 | მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 107,0 | 80,0 |
| 14153 | მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე | | |
| 14154 | შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 6,0 | 5,0 |
| 14159 | სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | | |
| 142 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 178,7 | 189,0 |
| 1422 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 48,0 | 29,8 |
| 14222 | საერთო-სახელმწიფოებ-რივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | |
| 14223 | სანებართვო მოსაკრებელი | 16,1 | 10,0 |
| 14227 | სახელმწიფო ბაჟი | | |
| 14229 | საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | |
| 142210 | სატენდერო მოსაკრებელი | | |
| 142212 | სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | | |
| 142213 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | | |
| 142215 | კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | | |
| 142216 | ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | | |
| 142214 | ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 31,9 | 19,8 |
| 142299 | სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | | |
| 1423 | არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 130,7 | 159,2 |
| 14231 | შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | | |
| 14232 | შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 130,7 | 159,2 |
| 143 | ჯარიმები,სანქციები და საურავები | 230,0 | 149,7 |
| 144 | ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | | |
| 145 | შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 2,7 | |
| **31** | **არაფინანსური აქტივების კლება** | **100,0** | **244,0** |
| 311 | ძირითადი აქტივები | | |
| 314 | არაწარმოებული აქტივები | 100,0 | 244,0 |
| | მიწა | 100,0 | 244,0 |
| | სხვა ბუნებრივი აქტივები | | |
| **32** | **ფინანსური აქტივების კლება** | **0,0** | **0,0** |
| | სესხები | | |
| | აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| | **ვალდებულებების ზრდა** | **0,0** | **0,0** |
| | საგარეო | | |
| | საშინაო | | |

>>>>>>>> 5

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი(პროექტი)

4<<<<<<<<<<<

**დანართი 4**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის ნოემბრის N დაგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის**
**ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების საბიუჯეტო კლასიფიკაცია**

| *ფუნქციონალური კოდი* | *ორგ. კოდი* | *დასახელება* | *2011 წლის გეგმა* | *2012 წლის გეგმა* |
|---|---|---|---|---|
| | სულ | **ხობის მუნიციპალიტეტი** | **7 590,0** | **6 170,3** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 203,0 | 201,0 |
| | | ხარჯები | 5055,6 | 5374,3 |
| | | შრომის ანაზღაურება | 1 324,8 | 1 412,5 |
| | | საქონელი და მომსახურება | 986,4 | 1 081,9 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 38,1 | 38,9 |
| | | მივლინებები | 10,3 | 10,9 |
| | | ოფისის ხარჯები | 257,7 | 294,1 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 12,0 | 12,9 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,1 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 13,2 | 16,9 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 187,0 | 216,4 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 468,0 | 491,8 |
| | | პროცენტი | 85,0 | 69,1 |
| | | სუბსიდიები | 2 353,3 | 2 438,3 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 306,1 | 372,5 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 493,1 | 748,2 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 41,3 | 47,8 |
| | 01 00 | **ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** | **1 810,0** | **1 937,0** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 160,0 | 158,0 |
| | | ხარჯები | 1 716,9 | 1 863,4 |
| | | შრომის ანაზღაურება | 1 073,3 | 1 145,2 |
| | | საქონელი და მომსახურება | 558,6 | 649,1 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 27,2 | 28,0 |
| | | მივლინებები | 7,4 | 8,0 |
| | | ოფისის ხარჯები | 202,0 | 242,9 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 12,0 | 12,9 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,1 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 120,5 | 146,1 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 189,4 | 211,2 |
| | | პროცენტი | 85,0 | 69,1 |
| | | სუბსიდიები | 0,0 | 0,0 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 51,8 | 25,8 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 41,3 | 47,8 |
| | 01 01 | **ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **362,0** | **401,1** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 27,0 | 25,0 |
| 70111 | | ხარჯები | 354,3 | 385,5 |
| | | შრომის ანაზღაურება | 236,3 | 237,6 |
| | | საქონელი და მომსახურება | 118,0 | 147,9 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,2 | 1,2 |
| | | ოფისის ხარჯები | 48,9 | 66,3 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 58,4 | 68,8 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 9,5 | 11,6 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 70111 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7,7 | 15,6 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 01 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა** | **1 214,8** | **1 306,3** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 133,0 | 133,0 |
| 70111 | | ხარჯები | 1 170,7 | 1 296,1 |
| | | შრომის ანაზღაურება | 837,0 | 907,6 |
| | | საქონელი და მომსახურება | 333,7 | 388,5 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 27,2 | 28,0 |
| | | მივლინებები | 6,2 | 6,8 |
| | | ოფისის ხარჯები | 153,1 | 176,6 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,1 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 62,1 | 77,3 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 85,0 | 99,8 |
| | | პროცენტი | 0,0 | 0,0 |
| | | სუბსიდიები | 0,0 | 0,0 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| 70111 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 44,1 | 10,2 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 |
| | 01 02 01 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური** | **461,2** | **483,3** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 25,0 | 25,0 |
| | | ხარჯები | 427,8 | 480,6 |
| | | შრომის ანაზღაურება | 200,5 | 218,4 |
| | | საქონელი და მომსახურება | 227,3 | 262,2 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 13,6 | 12,6 |
| | | მივლინებები | 2,4 | 2,4 |
| | | ოფისის ხარჯები | 83,1 | 87,8 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,1 | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 43,1 | 59,6 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 85,0 | 99,8 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 33,4 | 2,7 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 01 02 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური** | **82,7** | **86,6** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 10,0 | 10,0 |
| | | ხარჯები | 78,6 | 84,1 |
| | | შრომის ანაზღაურება | 69,6 | 73,8 |
| | | საქონელი და მომსახურება | 9,0 | 10,3 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,5 | 1,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 7,5 | 8,8 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,1 | 2,5 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

>>>>>>>> 6

5<<<<<<<<<<

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი(პროექტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 01 02 03 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური** | 102,4 | 103,2 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 10,0 | 10,0 |
| | | ხარჯები | 98,5 | 101,9 |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 79,5 | 84,5 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7102 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 08 04 | **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები** | 5,0 | 5,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7103 | | ხარჯები | 5,0 | 5,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0 , 0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 5,0 | 5,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7103 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 08 05 | **ავადმყოფთა სოციალური დაცვა** | 0,0 | 90,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 71011 | | ხარჯები | 0,0 | 90,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0 , 0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | 90,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 71011 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 08 06 | **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა** | 68,6 | 65,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7104 | | ხარჯები | 68,6 | 65,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0 , 0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 68,6 | 65,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7104 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

>>>>>>>> 13

12<<<<<<<<<<<

# ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი(პროექტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 08 07 | **ერთჯერადი დახმარება** | **65,0** | **60,0** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7109 | | ხარჯები | 65,0 | 60,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0 , 0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 65,0 | 60,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7109 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 08 08 | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება** | **88,0** | **68,0** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7076 | | ხარჯები | 88,0 | 68,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0 , 0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 88,0 | 68,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7076 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

**დანართი 5**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**2011 წლის ნოემბრის N დადგენილებისა**

**ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის**

**ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

| *ფუნქციონალური კოდი* | *დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა* | *2011 წლის გეგმა* | *2012 წლის გეგმა* |
|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 810,0 | 1 937,0 |
| *7011* | *აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები* | *1 671,7* | *1 807,2* |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 576,8 | 1 707,4 |
| *70112* | *ფინანსური და ფისკალური საქმიანობა* | *94,9* | *99,8* |
| 70113 | საგარეო ურთიერთობები | | |
| *7012* | *საგარეო ეკონომიკური დახმარება* | *0,0* | *0,0* |
| 70121 | ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს | | |
| *70122* | *საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება* | | |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70131 | საერთო საკადრო მომსახურება | | |
| 70132 | საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება | | |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 7014 | ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები | | |
| 7015 | გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | | |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 126,3 | 116,9 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | | |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 12,0 | 12,9 |
| 702 | თავდაცვა | 94,7 | 97,4 |
| 7021 | შეიარაღებული ძალები | 94,7 | 97,4 |
| **7022** | **სამოქალაქო თავდაცვა** | **0,0** | **0,0** |
| 7023 | საგარეო სამხედრო დახმარება | | |
| 7024 | გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში | | |
| 7025 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 344,2 | 356,0 |
| **7031** | **პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა** | **65,5** | **65,0** |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 278,7 | 291,0 |
| 7033 | სასამართლოები და პროკურატურა | | |
| **7034** | **სასჯელაღსრულების დაწესებულებები** | | |
| 7035 | გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 7036 | სხვა არაკლასიფიცირებუ-ლი საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1 355,4 | 280,0 |
| 7041 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | 0,0 | 0,0 |
| 70411 | საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა | | |
| 70412 | შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | | |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 613,5 | 160,0 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 613,5 | 160,0 |
| 70422 | სატყეო მეურნეობა | | |
| *70423* | *მეთევზეობა და მონადირეობა* | | |
| 7043 | სათბობი და ენერგეტიკა | 0,0 | 0,0 |
| 70431 | ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი | | |
| 70432 | ნავთობი და ბუნებრივი აირი | | |
| 70433 | ბირთვული საწვავი | | |
| 70434 | სხვა სახის საწვავი | | |
| 70435 | ელექტროენერგეტიკა | | |
| 70436 | არაელექტრული (მზის, ქარის,წყლის) ენერგია | | |
| 7044 | სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 70441 | მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა | | |
| 70442 | გადამამუშავებელი მრეწველობა | | |
| 70443 | მშენებლობა | | |
| **7045** | **ტრანსპორტი** | **741,9** | **120,0** |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 741,9 | 120,0 |
| 70452 | საზღვაო ტრანსპორტი | | |
| 70453 | სარკინიგზო ტრანსპორტი | | |
| 70454 | საჰაერო ტრანსპორტი | | |
| **70455** | **მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები** | **0,0** | **0,0** |
| 7046 | კავშირგაბმულობა | | |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 |
| **70471** | **ვაჭრობა,მარაგების შექმნა,შენახვა და დასაწყობება** | | |
| 70472 | სასტუმროები და რესტორნები | | |

>>>>>>>> 14

13<<<<<<<<<<<

# ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი(პროექტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 70473 | ტურიზმი | | |
| 70474 | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები | | |
| 7048 | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 70481 | გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში | | |
| 70482 | გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში | | |
| 70483 | გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში | | |
| 70484 | გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში | | |
| 70485 | გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში | | |
| *70486* | *გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში* | | |
| 70487 | გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 705 | გარემოს დაცვა | 823,8 | 652,9 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 511,7 | 578,9 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 312,1 | 74,0 |
| 7053 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | | |
| 7054 | ბიომრავალფეროვნები-სა და ლანდშაფტების დაცვა | | |
| 7055 | გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 618,0 | 310,0 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 437,9 | 295,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 147,0 | 15,0 |
| 7064 | გარე განათება | 33,1 | 0,0 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებუ-ლი საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 129,8 | 129,9 |
| 7071 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | | |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | | |
| 70712 | სხვა სამედიცინო პროდუქცია | | |
| 70713 | თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები | | |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70722 | სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70723 | სტომატოლოგიური მომსახურება | | |
| 70724 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | | |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| *70731* | *ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება* | | |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | | |
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 129,8 | 129,9 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 708 | დასვენება,კულტურა და რელიგია | 912,5 | 874,6 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 359,5 | 358,0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 494,5 | 460,0 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლ-ობა და საგამომცემლო საქმიანობა | 40,0 | 35,5 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 12,5 | 10,4 |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 6,0 | 10,7 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებუ-ლი საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | | |
| 709 | განათლება | 1 195,5 | 1 160,0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 691,3 | 700,8 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 121,8 | 45,0 |
| 70921 | დაწყებითი ზოგადი განათლება | | |
| 70922 | საბაზო ზოგადი განათლება | | |
| 7093 | პროფესიული განათლება | 55,2 | 96,4 |
| 7094 | უმაღლესი განათლება | 0,0 | 0,0 |
| 70941 | უმაღლესი პროფესიული განათლება | | |
| 70942 | უმაღლესი აკადემიური განათლება | | |
| 7095 | უმაღლესისშემდგომი განათლება | | |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | | |
| 7097 | გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში | | |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 327,2 | 317,8 |
| *710* | *სოციალური დაცვა* | *306,1* | *372,5* |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 90,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 0,0 | 90,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | | |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 79,5 | 84,5 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 5,0 | 5,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 221,6 | 193,0 |
| 7105 | უმუშევართა სოციალური დაცვა | | |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | | |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები,რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | | |
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში | | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| | **სულ** | **7 590,0** | **6 170,3** |

## წინადადება

### 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ: ________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲐᲛᲝᲭᲠᲐᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲝᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ: Ქ. ᲮᲝᲑᲘ. ᲪᲝᲢᲜᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ Ქ. “189 (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲝᲗᲐᲮᲘ № 214). ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ.

ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ
ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲘᲮᲓᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

სულთათანა

# დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ვაჟკაცო შვილო!
## (მიშიკო იოსავას ხსოვნას)



სამი წელიწადი, 1095 დღე და ღამე, ტანჯვითა და სევდით სავსე გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ჩაგხედე ზღვისფერ ლამაზ თვალებში და სენაკის სამხედრო ბაზამდე გაგაცილე. თითქოს ქორწილში მიდიოდი, გახარებული, ზურგზე ჩანთამოკიდებული, თავაწეული, ამაყი, წელში გამართული. ოო! როგორ მეამაყებოდი, მომესწრო ვაჟკაცი შვილი–მეთქი ვფიქრობდი. ახლაც ყურში მესმის შენი სიტყვები, რითაც სამუდამოდ გაიხურე შენი ოჯახის კარები. „სამშობლო მეძახისო!“ ასე დაემშვიდობე ჩვენი ოჯახის მეგობარს, შენთვის მამასავით საყვარელ კაცს მურმან ლომაიას.

შვილო, ჩემო ერთადერთო ვაჟიშვილო! ტყუილი ყოფილა გავრცელებული აზრი, „დრო ყველაფრის მკურნალიაო!“ ჩვენი ოჯახისთვის ყოველი დღე 2008 წლის 9 აგვისტოა, შავი და თავზარდამცემი დღე, როცა რუსულმა ავიაციამ სიკვდილის ჭურვები დაგვაყარა. რამდენი ახალგაზრდა, შენსავით ლამაზი, ჭკვიანი და პატრიოტი შეეწირა ამ ბარბაროსულ აქტს. შენთან ერთად დახოცეს შენი თანატოლი ბიჭები, შენი მეგობრები, ჩვენი მუნუციპალიტეტის მკვიდრნი: დათა ხურცილავა, ლევან ჭოჭუა, გოგა ბერაია, გოგიტა ქარჩავა, ლევან ტურავა, გოგა ჭითანავა, ზვიად დათუაშვილი, კაპრალ გოგიტა ქარჩავას კი გორში მოუსწრო რუსულმა ტყვიამ. თითოეული მათგანი შენსავით მტკივა, გულს მიკლავს მათ მშობლებთან შეხვედრა. ვიცი, ისინიც ჩემსავით იტანჯებიან!

ჩემო მიშიკო, შვილო, ვერ წარმოიდგენ როგორ მაკლიხარ, როგორ მჭირდები, როგორ მენატრები... რამდენ რამეს ვიგონებ! ჩვენი ურთიერთობა ხომ მარტო მამა-შვილური არ იყო. ჩვენ ამით ვერ ვკმაყოფილდებოდით. მე შენი უფროსი მეგობარიც ვიყავი. რჩევას მთხოვდი, სიამოვნებით იზიარებდი ჩემს აზრს, ითვალისწინებდი შენიშვნებს, იღებდი ჩემს წინადადებებს.

შენ იცი, მე თევზაობა და ნადირობა მიყვარს. როდესაც თბილისიდან ჩემი მეგობარი ბესო ჩამოვიდოდა, ყულევში მივდიოდით სათევზაოდ, შენც თან მიმყავდი, დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის შენი ცქერა, როცა ბადეს ეწეოდი, ან საათობით იჯექი და ანკესს თვალს ადევნებდი. ერთხელ, ბევრი თევზი დავიჭირეთ. გახარებულმა ორი დიდი თევზი ხელში დაიჭირე და ჩემს მეგობარს დაუძახე სურათი გადამიღეო. ახლა ამ სურათს ხშირად შევცქერი, მერე თვალებს ვხუჭავ და ვბრუნდები იმ დროსა და სივრცეში, სადაც ეს სურათი გადავიღეთ.

შენი წასვლის შემდეგ, ყოველი ახალი წლის შემოსვლისას ოჯახის წევრები, შენი მეგობრები, კლასელები, მეზობლები, შენს საფლავზე ვხვდებით. მოვდივართ, რომ ახალი წელი მოგილოცოთ. თუ გრძნობ, მიშიკო იმ ენით აუწერელ სიყვარულს, სევდასა და ცრემლებს, რომლებსაც შენს საფლავზე მდგარი ადამიანები ამჟღავნებენ. როგორ გეფერებიან შვილო, ოცდაორი წლის ბიჭმა როდის მოასწარი, როგორ შესძელი ამდენი თაყვანისმცემლის შეგროვება, როგორ მოახერხე ასე მხურვალედ შეყვარებოდი დიდსა და პატარას, მეგობარსა და ახლობელს. ღმერთმა ყველაფერი მოგცა ამისათვის, ღირსეული სიკვდილიც კი. მაგრამ, შენ, ჩემო ვაჟკაცო, ჩვენთვის ცოცხალი ხარ დღესაც. ტყუილად არ გიძღვნეს ეს სტრიქონები „თქვენს ამ სიკვდილსაც სიცოცხლე ჰქვიაო“.

ამჟამად მე, ნუცუბიძის ქუჩაზე კი არა, მიხეილ იოსავას ქუჩაზე ვცხოვრობ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩვენს ქუჩას შენი სახელი დაარქვა, მადლობა მათ ამისთვის, ყოველ დილით, სამსახურში თუ სხვაგან მიმავალი პირველი შენ გესალმები, როგორც ცოცხალს ისე გელაპარაკები, შინ დაბრუნებული კი ტკბილ ძილს გისურვებ. მერე შენს ოთახში შევდივარ, სადაც შენი ცხოვრების ამსახველი ფოტოებია გამოფენილი. ბოლო დროს ახალი ფოტოები დავამატე, ჯარისკაცის ფორმა ძალიან გიხდება მიშიკო! ვაი, რომ ბოლომდე ვერ ატარე იგი, შენ ხომ საოცრად გიყვარდა სამხედრო საქმე, შენ ხომ სულით პატრიოტი იყავი შვილო! შენი სიყვარული არ განელებიათ შენს მეზობლებს. ხშირად მესმის როგორ ესაუბრებიან შენზე ერთმანეთს, ეს ვინ მოგვიკვდა, ვინ აღარ გვყავსო. შოთა ბიძია, როგორც შენ ეძახდი, აი რას ამბობს შენზე: „მიშიკო თავისი უბოროტობით, სილაღით, სიკეთით, სათნოებით და პატიოსნებით, ყველასგან გამორჩეული, მაღალი ზნეობის ადამიანი იყო, მისი სიცოცხლე ამ ქვეყანაზე დიდ და უზენაეს მოვალეობას, სამშობლოს დაცვას შეეწირა. თუ სიკვდილია, ასეთი სიკვდილი სანატრელია და რჩეული ადამიანების ხვედრიაო“. ჭეშმარიტად ასეა, ბიჭო! მაგრამ შენი მშობლებისთვის ეს სიკვდილი მათი სიკვდილიცაა.

რამდენიმე სიტყვა შენს მეგობრებზეც მინდა გითხრა. შენი კლასელი თამთა შამათავა დღემდე დაგტირის და ასე გიგონებს: „მიშიკო ლაღი და თავისუფალი, ლამაზი და სიცოცხლისმოყვარე მხიარული და დაუდგრომელი, მეგობრული და სტუმართმოყვარე წავიდა და თან წაიღო ჩემი სულის ნაწილიო“. სხვა რაღა გითხრას შვილო, განა ეს სიტყვები არაა საკმარისი იმისათვის, რომ სამუდამოდ იწამო მისი სიყვარული და ერთგულება?!

შენმა მეგობარმა ირაკლი შონიამ კი აი, რა მითხრა: „ქართულ ინტერნეტსაძიებელში ვიპოვე ლინკი, სადაც მიშიკოს სახელისა და გვარის გასწვრივ წერია–გმირი! შენ ნამდვილი გმირი ხარ, რომელმაც თავისი ხანმოკლე ცხოვრება უბრალოებით, სიკეთით, ადამიანთა სიყვარულით განვლო და ასე დარჩება სამარადისოდ“.

ასე ფიქრობს შენი უამრავი მეგობარი, თანაკლასელი და ახლობელი.

ჩემო ვაჟკაცო, შენთან ვალში არც უფროსი თაობის ადამიანები დარჩენილან. დამსახურებულმა პედაგოგმა, მერი აბრამიამ შენზე უამრავი თბილი მოგონება და წერილი მოაგროვა, რედაქტირება გაუკეთა და წიგნად შეკრა. იმ წიგნში ბევრი საინტერესო მასალაა შენზე.

23 ნოემბერს, გიორგობას, 25 წლის ხდები, ჩემო დაფერფლილო ნუგეშო, ჩემო ჩამქრალო ნათელო, გილოცავ, შვილო, დაბადების დღეს! ულმობელმა ბედისწერამ არ დაგინდო, ბარბაროსებმა ტყვიით განგმირეს შენი ლამაზი სხეული, ამოგართვეს კეთილშობილური სული, გაგვამწარეს და თვალთა ნათელი დაგვიშრიტეს მე და დედაშენს, ოჯახის ყველა წევრს!

მაგრამ მინდა იმით განუგეშო, რომ ჩვენ ვცოცხლობთ და ვაგრძელებთ ცხოვრებას იმ იმედით, რომ უსათუოდ შეგხვდებით, ჩვენო სიამაყევ, ქვეყანას შეწირულო „ვარსკვლავბიჭუნავ“!

***ბესო იოსავა,***
***შენზე მგლოვიარე, შენი სულის უკვდავებაზე მლოცველი მამა.***

ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა შრომის ვეტერანი, ცნობილი ფეხბურთელი

***მერაბ სევერიანეს ძე დოლბაია***

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საბჭოს თანამშრომლის დალი ჭედიას მეუღლე

***რომან ჭედია***

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა შრომის პენსიონერი, სამამულო ომის მონაწილე

***ვაჟა შენგელია***

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსათხოვარი

# უკანასკნელი ბარათი როინ ალანიას



იცი, რა ძნელი და მტკივნეულია ჩემთვის იმ წუთების გახსენება, როცა შენ უკანასკნელად იყავი ჩვენს ოჯახში. ამჟამად თბილისში მცხოვრებმა, სოფელში შენი და შენი მეუღლის მიერ ნაჯაფი სახლ-კარის მონახულების შემდეგ, ჩემთან გამომშვიდობებისას, ჩუმად ჩაილაპარაკე. „შეიძლება ჩემი აქ მოსვლა უკანასკნელი იყოსო“, და ასეც მოხდა.

შენთან შეხვედრა ყველას გვიხაროდა, ყველა წვრილმანი გაინტერესებდა, გარდა ნათესაური კავშირისა, ერთმანეთს ვმეგობრობდით, ერთმანეთის მოსმენა გვიყვარდა. ვიხსენებდით წარსულს, ვსაუბრობდით აწმყოსა და მომავალზე.

ავადგასახსენებელი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ იწვნია, განსაკუთრებული იყო თქვენი ოჯახისთვის, რომელსაც მამაშენის–სოფელში დაფასებული კაცის სიცოცხლე შეეწირა. ამ ტრაგედიის გამო მთელი სოფელი, რაიონი, შენი საძმო, სამეგობრო ფეხზე დადგა, სწორედ მაშინ მიიღეთ მძიმე ტრავმა ცოლ-ქმარმა. აფორიაქდა ოჯახი. აიშალა ფუძე, საჭირო გახდა თქვენი ცხოვრება იქ, სადაც თქვენი შვილი იღებდა განათლებას.

გამორჩეული ტრადიციული ოჯახი გქონდათ, ბოლო დროს დიდი სატკივარი გადაიტანეთ, დაკარგეთ სრულიად ახალგაზრდა მეუღლე, არაჩვეულებრივი ადამიანი, პედაგოგი ნარგიზი გეგენავა, წარსულმა მის ჯანმრთელობას სამუდამო დაღი დაასვა, მიუხედავად ხანგრძლივი მკურნალობისა, ხელში ჩაგაკვდა. სულ ხომ მის ხსენებაში იყავი, ამიტომაც გიღალატა გულმა.

მარტო დარჩით შვილთან ბაბუის მოსახელე ვახტანგ ალანიასთან ერთად, იგი დღეს სასახელო ვაჟკაცია, მცოდნე და განათლებული იურისტი, რომელმაც ერთ წელიწადში დაკარგა საამაყო, მზრუნველი დედ–მამა. არც ერთს ბედმა არ გარგუნათ გენახათ შვილის გაბედნიერება, რომელსაც დღე–დღეზე ელოდებოდით.

გჯეროდეს როინ! ვახტანგი თუმცა მტკივნეულად, მაგრამ ღირსეულად გააგრძელებს ცხოვრებას.

დატოვე დები და დისშვილები, შენ ხომ მათთვის ძმა კი არა, მამა და მეგობარი იყავი. შენი საყვარელი დისშვილი ნინო ჩიქოვანი, თქვენი აღზრდილია, შვილად მიგაჩნდათ, დააკვალიანეთ და ექიმად გამოზარდეთ.

სადაც კი იმუშავე, ყველგან ნათელი კვალი დატოვე. გყავდა ძვირფასი სამეგობრო წრე. უდროოდ წასულების ხსენებაზე კი, სევდა და ცრემლი იყო შენს თვალებში. მათთან შეხვედრით და მოგონებებით ცხოვრობდი.

მე, ამ სტრიქონებით ვერ გამოვხატავ შენდამი იმას, რასაც ჩვენი სიყვარული, მოფერება და მონატრება ჰქვია.

იძინეთ მშვიდად, გულზე ორივეს დაგეყრებათ თქვენი მამა-პაპისეული მშობლიური მიწა.

ნათელში იყოს თქვენი ლამაზი, სპეტაკი სული.

***გულიანა ბუკია.***

# მშვიდობით...

თავზარდამცემი და შემზარავი იყო, სიყრმის მეგობარო, შენი გარდაცვალების გათავისება.

ალბათ ვერცერთ შენს ახლობელს, მეგობარს, მეზობელს თუ ნაცნობს, ვერ წარმოედგინა ასაკით არცთუ ჭარმაგი, ფიზიკურად ძლიერი, როინ ალანია იმ ქვეყნიურ სასუფეველში გადაბრძანდებოდა.

ვერ შეეპუე უძვირფასესი თანამეცხედრის, ქალბატონი ნარგიზი გეგენავას ნაადრევ დაკარგვას. თუმცა, მისმა მოურჩენელმა სენმა, თითქოს გარეგნულად შეგამზადა მოსალოდნელი უბედურებისათვის. რჩეულთა ხვედრია ასეთის მეუღლეობა. უფალმა, შენეული ცხოვრების თანამონაწილედ, სწორედ ასეთი ქალბატონი ნარგიზი –გეგენავა გიბოძა. ის, სოფელში პატიოსნებით, განათლებით, სამივე შვილის წესიერებით, ყველას დამხმარედ და თანამდგომად აღიარებული ქალბატონი ლიდა და ბატონი ვახტანგი ალანიების ოჯახის სანაქებო რძალი და სკოლის ავტორიტეტადქცეული მასწავლებელი, ჭეშმარიტი პედაგოგი გახლდათ. ძმათამკვლელი ომის დროს სოფელში, უბანში, სწორედ ნარგიზი მასწავლებელი უწილადებდა საკვებ–სანოვაგეს, საჭირო მედიკამენტებს მათთან სტუმრად მისულ თანასოფლელებს. ერთადერთი საფიცარი შვილის, ვახოს თანატოლებს მუდმივად ქომაგობდა და ალალად უსახსოვრებდა წიგნებთან ერთად ნუგბარ-ტკბილეულს.

რომ არა, გონებადაბინდულთა მუხანათური თავდასხმა, მამაშენის იმ ხანად სნეულ, ბატონ ვახტანგ ალანიას ოჯახზე, მის სამკურნალოდ მიყვანილი ექიმების სიცოცხლის გადასარჩენად, ოჯახის უფროსი შეეწირა ავსულთა ბრმად გასროლილ ტყვიას. იმ დღეს დასრულდა სოფელში, რაიონში რჩეული ოჯახის ბედნიერება. სევდანარევი იყო, ჩემო მეგობარო, თქვენი ცხოვრების მომდენო წლები.

მოუშუშებელი იარა ოჯახის შვილიშვილების წინსვლამ და წარმატებებმა ვერ შეახორცა.

სულიერმა ტკივილმა ოჯახი სოფელს განარიდა. სამაგალითო პედაგოგმა გულისტკივილით გამოიხურა საყვარელი სკოლის კარები, ვერც როინის რაინდული ცხოვრება ვერ შეეპუა თბილისურ სიმშვიდეს. შვება ვერც ნაადრევად დაბრძენებული ოჯახის მემკვიდრის, ვახტანგის სამსახურებრივმა აღმასვლამ მოჰგვარა.

ხობი და სამეგრელო, სისხლით ნათესაობა და მეგობართა უსაშველოდ დიდი არმია გენატრებოდა.

ხშირად სტუმრობდი მშობლების, წინაპართა ძვალთშესალაგ ძვირფას ადგილს, გემოვნებიან, მაგრამ ეულად დარჩენილ გაუფერულებულ კარმიდამოს ყოველი ხილვისას სულის ტკივილით ტოვებდი.

ზღვა ხალხის ტალღა, მამაკაცების ჩუმი ქვითინი, ქალბატონების მოთქმა-გოდება მიგაცილებდა ნოემბრის ავბედით დღეს სასაფლაომდე, სათაყვანო მეუღლის გვერდით, ნაადრევად გაჭრილ შენს ახალ სამოსახლოსთან.

პირველად ვიხილეთ დაუდეგარი, მომღიმარი, სიკეთით გასხივოსნებული როინ ალანია, გაცრეცილი ტუჩის კუთხესთან ჩამოღენილი, გაყინული ცრემლის ნაკვალევით.

თავდახრილი, სახე გაჩერებული გემშვიდობებოდა ჩვენი ნათლულის, გიორგი ალანიას მამა და შენი ძმადნაფიცი, ჩვენთვის ერთობ ძვირფასი ვახტანგ ალანია. რუსეთიდან საქართველოს, ხობის და შენი მონატრებით რომ მოეშურებოდა...

ვაი, რომ შენთან შეხვედრა წარსულს ჩაბარდა. მონატრებად დარჩა შენი სევდანარევი, ნაღველგარეული ტონით სამეგობრო კლასელებიდან ადრე წასულთა ხელის თითებზე ფრთხილი ჩამოთვლა...

ღმერთმა ინება მეგობარო, კლასელებიდან დარჩენილთაგან, რიგით მეშვიდეს, როინ ალანიას თავის სასუფეველში გადაბრძანება.

მშვიდობით, ძმაო!

***სვეტა გვათუა***

# „შაპიტო“ ხობში

ჩვენს ქალაქს ცირკი „შაპიტო“ სტუმრობდა. ამ ცირკის ისტორია წლებს ითვლის, ისინი დიდი ხანია ქალაქ-ქალაქ დადიან და პატარა მაყურებლებს საინტერესო საცირკო სანახაობით ანებივრებენ. ამჯერად ისინი, უკრაინიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად გამოდიან არენაზე. როგორც ერთმა მონაწილემ მიამბო, ცირკი ერთ-ერთი გასტროლის დროს დამწვარა ისე, რომ დასს არც ცხოველები და თითქმის ყველა ინვენტარი, რაც წარმოდგენისთვის საჭირო იყო, არ დარჩენიათ: „იმ დღეს თითქოს ყველა ჩვენთაგანის სიცოცხლე შეჩერდა, რა უნდა გვექნა, როგორ უნდა გვეცხოვრა–ცირკი ხომ ყველა ბავშვის ერთ-ერთი საყვარელი სანახაობაა. ის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. გვეგონა ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ნელ-ნელა კვლავ დავიწყეთ აღორძინება, კეთილი ხალხის გვერდში დგომით მოვედით დღემდე. ჩვენში იმძლავრა პროფესიონალიზმა და მოლოდინმა იმისა, რომ კვლავ ვნახავთ ჩვენი პატარა მეგობრების თვალებში ჩვენი ნახვით გამოწვეულ სიხარულს.“

სიხარული მართლაც რომ მიანიჭეს ჩვენს პატარებს ლამაზი ნომრებით. ბაგირზე ლამაზად მოცეკვავე აკრობატები, მხიარული ჯამბაზები, კარგად გაწვრთნილი ცხოველები. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი და უკრაინელი აკრობატები, მათი გამოჩენით პატარებში შიში და ემოცია ერთიორად ჭარბობდა, ფართოდ გახელილი და განცვიფრებული თვალებით უყურებდნენ ყოველივეს. ჯამბაზის გამოჩენის დროს ბავშვების მხიარული სიცილი არ წყდებოდა. მე ძირითადად ბავშვების საუბარს ვუგდებდი ყურს, მათი ემოციები მაინტერესებდა. ერთი პატარა განაცვიფრა ოთხფეხა პატარა მეგობარმა ძაღლმა „პუდელმა“, რომელსაც მომთვინიერებელი სხვადასხვა მელოდიებზე აცეკვებდა. –ნეტა როგორ ესმის ძაღლს ეს ყოველივე და ასე როგორ უჯერებს პატრონს?–პატარა გოგონა ტიტინს არ წყვეტდა.





იყო ბევრი აპლოდისმენტი და სიხარული. მადლობა მათ ამისათვის, რამეთუ შეძლეს პატარებისათვის კიდევ ერთი ლამაზი დღის ჩუქება.

**ნინო გერგაია.**

## მოლოცვა

# ქალბატონ ნათელა ჯიჯელავას!

გილოცავთ ქალბატონო ნათელა დაბადების დღეს. მრავალს დაესწარით თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად. არ მოგკლებოდეთ ჯანის სიმრთელე და პაციენტების კმაყოფილება, სიცოცხლის ბოლომდე ყოფილიყავით ბედნიერი დედა და ბებია.

დიდი სიყვარულით

*შორენა კანკია,*
*ხობის მუნიციპალიტეტის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.*



P.S. გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციის თანამშრომლები ვუერთდებით ქალბატონ შორენა კანკიას მილოცვას და დამსახურებულ ექიმ-თერაპევტს, მუნიციპალიტეტში სიკეთითა და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეულ ქალბატონს სიყვარულით ვულოცავთ და დიდხანს ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებთ.

# „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში

25 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტში სტარტს აიღებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ხობის მუნიციპალიტეტის თემების, სოფლებისა და ქალაქ ხობის გუნდები. ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით და გამარჯვებულები გამოვლინდებიან ინდივიდუალურ და გუნდურ ჩათვლაში.

# სანახაობრივად დატვირთული და შთამბეჭდავი...

ხობი, აღმაშენებლის ქუჩა, რიტმი და ჯერ კიდევ გაურკვეველი ენერგია შორიდან იპყრობს ყურადღებას. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და, რაც უფრო მეტად ვუახლოვდები შენობას, მით უფრო მეტად ვგრძნობ, რაღაც მშობლიურს, მონატრებულ სითბოს... უკვე ლამის მივრბივარ, გული გამალებით მიცემს, ჰაერში ბავშვობის მოტკბო გემო ტრიალებს, გონებაში კი მოგონებების კორიანტელი...

შენობაში ვარ, უკვე გარკვევით ვარჩევ რიტმს, მელოდიას, ენერგიას...

შემოდგომის ერთ თბილ და მზიან დღეს ხობის №2 საბავშვო ბაგა–ბაღში (მთავარი სპეციალისტი ნარგიზა ტუღუში) უჩვეულო ფუსფუსი და გამოცოცხლება იგრძნობოდა. ამ დღეს პატარები შემოდგომის დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

საზეიმოდ მორთული სპორტული მოედანი ალისფერ–ოქროსფერი ფერებით შეიმკო და შემოდგომის ნობათით დაიხუნძლა. შემოდგომის ზეიმი ხელოვნური ფოთოლცვენის ფონზე წარიმართა, ტოტები ვაზის და ჭადრის ოქროსფერი ფოთლებით, ყურძნის აკიდოებით, კარალიოკით, ბროწეულით დაიხუნძლა, მონაწილეები სცენაზე მუსიკის ფონზე ჟრიამულით შემოცქრიალდნენ. პატარა წამყვანები სალომე ქირია და ირაკლი გვალია მაყურებლებს გულთბილად მიესალმნენ და ის გაუგებრობა განუმარტეს, რაც წელიწადის დროთა სამეფოში 4 მეგობრის გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომასა და ზამთარს შორის დატრიალდა. აგვიხსნეს, წარმოშობილ გაუგებრობას შორის თუ რომელია მათ შორის უფრო ღირსეული, საუკეთესო და სასარგებლო. ზეიმზე წამყვანებმა ნეფე-დედოფალი „შემოდგომა“ წარმოგვიდგინეს თავისი ამალით. შემოდგომის ნეფე–დედოფლის ამალა გახლდათ ფოთოლი, ყურძენი, ვაშლი, ბროწეული, ძროხა, გლეხის კაცი–გოდრით, გლეხი ქალი–ჩურჩხელით.

პატარები საკმაოდ თავდაჯერებულად გრძნობდნენ თავს... სიმღერას ლექსი ენაცვლებოდა, ლექსს–ცეკვა. დარბაზი გლეხის ჭირნახულით სავსე მარანს მოგვაგონებდა, სადაც უხვად იყო ხილი, ჩურჩხელა, გოდორი, დოქები... ბავშვები კი სოფლელი გოგო–ბიჭებივით გამოწყობილები ხალისიანად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ლექსების თქმაში, სიმღერებსა თუ ცეკვებში.

ზეიმზე პატარა მხატვრები წარმოჩინდნენ, რომლებიც შემოდგომის პეიზაჟების ხატვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. სტუმრებმა კი პატარების მხარდასაჭერად ტაში არ დაიშურეს. შემოდგომის ნეფე–დედოფალი ლილე სიჭინავა და ცოტნე გერგაია კი მათ ნამუშევრებს იწონებდნენ.

შემოდგომის დღესასწაულს შრომით დაღლილი ბაბუა ეწვია, ბაბუამ კი საიდუმლო გაგვიმხილა–ზეიმს თურმე ბებიაც ეწვია ჩურჩხელებით. სიხარულით აღსავსე პატარებმა სიმღერით გაამხნევეს მოხუცები...



ღონისძიება სანახაობრივად დატვირთული და შთამბეჭდავი იყო. აღსაზრდელებმა უჩვეულო მონდომება და ნიჭიერება გამოიჩინეს. გასაკვირი არც არის, ზეიმის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის თავიანთი სული და გული ჩადეს ჯგუფის აღმზრდელ-მასწავლებელმა ლალი დევნოზაშვილმა, თანაშემწემ თეა ლატარიამ, მუსიკის მასწავლებელმა დარეჯან საბეკიამ. ამ საბავშვო ბაგა-ბაღმა დაარსებიდან უამრავ წარმატებას მიაღწია და უდავოა, რომ ეს ყოველივე ქალბატონი ნარგიზა ტუღუშის ძალისხმევის შედეგია.

ღონისძიების დასასრულს პატარებს დაურიგდათ ფერად-ფერადი ბზრიალები, თათარაზე ჩურჩხელები ამოავლეს, ცაზე კი ფრანები აუშვეს, რაც მეტად შთამბეჭდავი და სახალისო გამოდგა იქ მყოფთათვის.

...ასე მხიარულად და სასიამოვნოდ დასრულდა შემოდგომის ოქროს მეჯლისი, ბუნების წლის უკანასკნელი დღესასწაული. მონაწილეებმა კი შემოდგომას შემდეგი სიტყვებით დაემშვიდობნენ: „ახლა თვალსწიერზე მხოლოდ შემოძარცვული და სველი მიწის მოწყენილი ფერებიღა იშლება, სიცივე შეპარვია თვით მზესაც. მიიწურა შემოდგომა, მალე დავემშვიდობებით წლევანდელ წელსაც, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, წინ უამრავი შემოდგომა და ზამთარი გველის!

„გაყვითლებულა ფოთლები,
ქარმა ერთბაშად არია,
ასე დაიწყო ზამთარმა
საშემოდგომო არია!“

*ლოგიკურმა დასასრულმა კარსმომდგარი ზამთარი შეგვახსენა, თუმცა, ამაღლებულ განწყობას ვერა დააკლო რა!..*

**ნანა კემულარია.**



დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შპს „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.